

„დამტკიცებულია“

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2018 წლის _____
N _____ ბრძანებით

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული
ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“
ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება არეგულირებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესს, კომისიის უფლებამოსილებას, კონკურსანტთა შერჩევის კრიტერიუმებს, გადაწყვეტილებათა მიღების, კონკურსანტთა დაფინანსებისა და ანგარიშგების წესს.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსანტთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის მეშვეობით.

3. კონკურსს ატარებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი კომისია.

4. ქვეპროგრამა „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ითვალისწინებს კულტურის სფეროში საზოგადოების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერას, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემოქმედთა ახალი თაობის, ახალი იდეებისა და ხელოვნების ახალი სახეობების მხარდაჭერას, ინოვაციურ, აქტუალურ და ანალიტიკურ პროექტებს.

5. პროექტი უნდა განხორციელდეს და დასრულდეს 2018 წლის განმავლობაში.

6. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან (შემდგომში - მერია) მოთხოვნილი თანხა არ უნდა არაუმეტეს 10 000 ლარს.

7. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ და გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს.

8. ინიციატივები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, აგრეთვე მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირებისა და ორგანიზაციების მიერ არ განიხილება.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია კულტურისა და ხელოვნების განვითარებაზე ორიენტირებული საუკეთესო ინიციატივების გამოვლენა და მხარდაჭერა, კულტურულ ღონისძიებებში მოქალაქეების მონაწილეობისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნა.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტთა ნუსხა

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა მერიაში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შევსებული განაცხადის ფორმა:

ბ) ავტობიოგრაფია (CV) - თუ განმცხადებელი გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირია;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) მოწმობა - თუ განმცხადებელი გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირია, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

დ) პორტფოლიო (შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი აუდიო-ვიზუალური მასალა ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სარეკომენდაციო წერილი;

ვ) თანადაფინანსების შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი.

2. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:

ა) დოკუმენტების მიღება - პირველი ეტაპი;

ბ) დოკუმენტების განხილვა - მეორე ეტაპი.

2. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილება (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25).

3. კონკურსანტის მიერ შემოტანილი განაცხადი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც შემდგომი რეაგირების (მოკვლევის პროცედურა, საბუთების შესწავლა, შესაბამისობის დადგენა) მიზნით გადაეცემა განათლებისა და კულტურის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).

4. განყოფილება:

ა) შეისწავლის კონკურსანტის განაცხადს და შეჰყავს ინფორმაცია კონკურსანტთა რეესტრში;

ბ) არასრული დოკუმენტაციის/ მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, კონკურსანტს წერილობით აცნობებს აღნიშნულის შესახებ განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით და აძლევს 5 სამუშაო დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად;

გ) კომისიის წევრებს ელექტრონულად უგზავნის განსახილველად შემოსულ განაცხადებს;

დ) კომისიაში წარსადგენად ამზადებს მოხსენებითი ბარათის პროექტს კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

5. არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში კომისია არ განიხილავს კონკურსანტთა განაცხადებს.

6. კონკურსის მეორე ეტაპზე კომისია დეტალურად განიხილავს დოკუმენტაციას.

მუხლი 5. კონკურსის ჩატარებისა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს ყოველი თვის პირველი სამუშაო დღიდან თვის ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე.

2. შემოსული განაცხადები განიხილება ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღიდან მომდევნო 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 6. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
2. კომისია:
 - ა) ამტკიცებს იმ კონკურსანტთა სიას, რომელთა განაცხადები არ შეესაბამება წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;
 - ბ) განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს (საკონკურსო დოკუმენტაციას) და ახდენს შეფასებას;
 - გ) წარუდგენს მერს ინფორმაციას კონკურსის შედეგების შესახებ.
3. კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.
4. კონკურსანტთა შეფასება ხდება, 0-10 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
 - ა) პროექტის აქტუალურობა;
 - ბ) პროექტის ინოვაციურობა;
 - გ) პროექტის თანადაფინანსება;
 - დ) პროექტში საზოგადოების ჩართულობა;
 - ე) პროექტის ხანგრძლივობა;
 - ვ) კონკურსანტის გამოცდილება;
 - ზ) პრიორიტეტულობა;
 - თ) ხარჯების ეფექტურობა;
 - ი) PR კომუნიკაციის ხარისხი.
5. შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით.
6. დაფინანსებაზე რეკომენდაცია გაეწევა იმ კონკურსანტს, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს.
7. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გამამყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.
8. კომისიის რეკომენდაცია აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 7. კონკურსანტის დაფინანსება

1. კომისიის რეკომენდაცია, სხდომის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, წარედგინება მერს.
2. მერი, კომისიის რეკომენდაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და კონკურსში გამარჯვებულ პირების დაფინანსების თაობაზე.
3. ინფორმაცია კონკურსის შედეგების თაობაზე წერილობით ეცნობება კონკურსანტებს მერის ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.
4. სამსახური, მერის ბრძანების საფუძველზე, ბრძანების გამოცემიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში ამზადებს ავტორთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტს, რომელიც შეთანხმებულია მერიის აპარატის იურიდიულ განყოფილებასა და მერიის საფინანსო სამსახურთან.
5. ხელშეკრულებას, მერის ბრძანების გამოცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ხელს აწერს კონკურსში გამარჯვებული პირი/უფლებამოსილი წარმომადგენელი და კურატორი მერის მოადგილე,
6. შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, არა უმეტეს 30%-სა, კონკურსში გამარჯვებული პირის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ვადას).

მუხლი 8. კონკურსის მონაწილის/კონკურსში გამარჯვებულის ვალდებულებანი

1. კონკურსის მონაწილე ვალდებულია სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს მოცემული წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.
2. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ წარმოადგინოს მის მიერ განხორციელებული პროექტის შესახებ საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიშები (დანართი 3) და გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მასალები (მათ შორის ზედნადები, ანგარიშფაქტურა, საგადახდო დავალება, ინვოისი, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, უწყისი, სალარო შემოსავლისა და გასავლის ორდერი), რომლის საფუძველზეც 7 სამუშაო დღის ვადაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და ავტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება.